ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1160269

ნომერი: AR1198513

თარიღი : 19.02.2014

გაცემის თარიღი : 10.03.2014

გაცნობის თარიღი : 12.03.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , N 6 , (ნაკვეთი N8/53) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ტყემალაძე პ/ნ 01024004230
- ჭავჭავაძის 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა #6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადა. კოდით: #01.14.06.008.102) მსუბუქი ავტომობილების სერვისცენტრის, სამრეცხაოების და გაზგასამართი სადგურის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ, რომ სამსახურმა საკითხი, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქმშენებლობითი პირობების გაცემის თაობაზე წარადგინა ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 20 თებერვლის სხდომაზე (ოქმი #7) განსახილველად, სადაც საკითხი გადაწყდა დადებითად და ქ. თბილისის მერის #381 (26.02.2014) განკარგულებით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება #01.14.06.008.102 საკადასტრო ერთეულზე მსუბუქი ავტომობილების სერვისცენტრის, სამრეცხაოების და გაზგასამართი სადგურის განთავსების მიზნით.

დოკუმენტაციის გადახედვისას, როგორც დადგინდა, დღევანდელი მდგომარეობით მოხდა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის გამიჯვნა #01.14.06.008.136 და #01.14.06.008.137 საკადასტრო ერთეულებად. გამომდინარე აქედან, ვინაიდან, ქ. თბილისის მერის განკარგულება გაცემულია #01.14.06.008.102 საკადასტრო ერთეულისთვის, საჭირო იქნება აღნიშნულის გაუქმება და ახალი განკარგულების გაცემა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი განაცხადით უნდა დააყენოთ მოთხოვნა და დააკონკრეტოთ, თუ რომელ საკადასტრო ერთეულზე ითხოვთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას. ასევე, უნდა მოითხოვოთ ქ. თბილისის მერის განკარგულების ცვლილების შეტანა, შესაბამისი საკადასტრო ერთეულის დაფიქსირების მიზნით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.